ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3630310

ნომერი: AR1547727

თარიღი : 09.10.2017

გაცემის თარიღი : 24.10.2017

გაცნობის თარიღი : 06.11.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ კანდელაკი პ/ნ 01018003087
- თბილისი,თორაძის ქN9

ორგანიზაცია:
- ლეჩკომბინატი #1 კოდი: 204577216

ნომენკლატურა :

- საავადმყოფო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საავადმყოფო, სარეაბილიტაციო ცენტრი, მუზეუმი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი შაფაქიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. არქიტექურის ლაბორატორია #3
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204503661

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე

სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე’’ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის ქ. N5-ში საავადმყოფოს სარეაბილიტაციო ცენტრის, მუზეუმისა და ლანდშაფტური პარკის წარმოდგენილი ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N42, 19.10.2017 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინებით - დამუშავდეს სივრცით გეგმარებითი გადაწყვეტა. სასურველია მოცულობების გადანაწილება ძველი კონტურის მიხედვით. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ვლადიმერ კანდელაკს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის ქ. N5-ში საავადმყოფოს სარეაბილიტაციო ცენტრის, მუზეუმისა და ლანდშაფტური პარკის წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმებას. რეკომენდაცია: დამუშავდეს სივრცით გეგემარებითი გადაწყვეტა. სასურველია მოცულობების გადანაწილება ძველი კონტურის მიხედვით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.